



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თაქ-ქილისას სამაროვანი

თაქ-ქილისას სამაროვანი, რკინის ხანის (ძვ. წ. X-VI სს.) ძეგლი თრიალეთში, წალკის ზეგანზე, მდ. ხრამის მარჯვ. ნაპირას. 1937, 1948 გაითხარა (ხელმძღვ. ბ. კუფტინი) 67 სამარხი, რ-ებიც წარმოადგენდა 6-8 ფილაქვისაგან აგებულ, ზემოდან 2 ან მეტი მასიური, ბრტყელი ქვით გადახურულ ყუთებს. მათი ძირი გრუნტზე მდებარეობდა. სამარხები, ძირითადად, ინდივიდ. იყო, იშვიათად - 2-3 მიცვალებული თითო ყუთში. დაკრძალული იყვნენ მკდომარე ან გვერდზე ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში. ადრინდ. (ძვ. წ. X-IX სს.) სამარხებში, ძირითადად, გვხვდება მორგვზე დამზადებული, რუხი ფერის, კერამ. ჭურჭელი (უმეტესად ორნამენტირებული დოქები, ქვაბოტონები, კოჭბები და სხვ.), ლითონის ნაწარმი (ბრინჯაოს შუბები, გრძელყუნწიანი ისრისპირები, ორთითა, ბუნიკები, სარტყლის ფრაგმენტები, სამაჯურები, რკინის შუბები და სხვ.), სარდიონის მძივები. გვიანდ. (ძვ. წ. IX - VI სს.) სამარხებში აღმოჩნდა მრავალფეროვანი, ჩარხზე დამზადებული კერამიკა (ჭდეული და ნაპრიალები ზოლებით შემკული ჭურჭელი), ლითონის ნაწარმი (ბრინჯაოს ლაგმები, ვარდულები, სამაჯურები; რკინის გრძელმასრიანი შუბები, სამაჯურის ფრაგმენტები), სარდიონის, თეთრი პასტისა და სხვადასხვა ფერის მინის მძივები.

ხეობაში ზედაპირულად აკრეფილია პალეოლითის ხანის მასალა (ობსიდიანის 1000-ზე მეტი ნაწარმი). გვხვდება ამოღარული და ლევალუაზური ანატკეცები, ბრტყელი და ამორფული ნუკლეუსები, საჭრისები, ლამელები, საფხეკები, რ-თა დიდი ნაწილი მცირე ზომის ანატკეცებისაგანაა დამზადებული; აგრეთვე მიკროსეგმენტი და მიკროტრაპეცია, მუსტიეური წვეტანები და მცოცავი რეტუშით დამუშავებული ისრისწვერი. მოპოვებულია აგრეთვე ნუშისებური მოყვანილობის გვიანდ. აშელური ხანის ხელნაჯახი.

სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სხვადასხვა დროის პეტროგლიფები. ნალკის სამხრ.-დას-ით 10 კმ-ზე, ხეობის მარჯვ. ნაპირზე, კლდის გაშიშვლებულ ზედაპირზე აღმოჩენილია (1976, მ. გაბუნია) ამოკანრული ცხენის, ირმის, ჯიხვის, მელიის, შვლის, ორკუბიანი აქლემის, ლომისა და სხვ. ცხოველთა გამოსახულებანი. გვხვდება ფანტასტიკური ცხოველებიც (ორკუბიანი ცხენი, ფრინველისფეხებიანი კუ), აგრეთვე კომპოზიციები – შვლის ნუკრი, რ-იც დედის ძუძუს ნოვს, და ადამიანთა გამოსახულებანი – კაცები ჯოხით ხელში და მშვილდისრით გვერდზე, გვხვდება მზისა და ჯვრის გამოსახულებაც და გაურკვეველი დანიშნულების გეომ. ფიგურები.

თ.-ქ. ს-ის პეტროგლიფებში შეიმჩნევა ბურტაკეტის ბრინჯაოს ხანის გორასამარხების მშენებლობაში გამოყენებული ნიშნიანი ქვებისა და სვანეთში მიცვალებულის კულთან დაკავშირებული გრაფ. ხელოვნების ტრადიციული ნიმუშები.

ლიტ.: გაბუნია მ., უნიკალური ძეგლი, {კომუნისტი}, 1976, 22 ოქტ.; ჯაფარიძე თ., არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969; Бардавелидзе В. В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957; Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.

მ. გაბუნია

მ. მენაბდე
